გუშინ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდი ლენინგრადში მეორე წრის პირველ ტურში შეხვდა “ადმირალტეეცს”. “დინამოს” შემადგენლობაში იყვნენ: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი. როგორც პირველი ტაიმი, ასევე მეორეც თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ნახევრის 31-ე წუთზე შ. იამანიძემ მოატყუა ოთხი ლენინგრადელი და გადააწოდა ე. ბარქაიას, რომელმაც ზუსტად გაიტანა ბურთი _ 1:0.

თამაშის მეორე ნახევრის მე-7 წუთზე კვლავ იამანიძე ატყუებს ლენინგრადელთა რამდენიმე მოთამაშეს და მძიმე მდგომარეობიდან შემოტრიალებით ურტყამს ლენინგრადელთა კარში _ 2:0. დანარჩენი დრო კვლავ დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და როცა თამაშის დამთავრებას 12 წუთი აკლდა, ლენინგრადელთა მცველი ტიხომიროვი ხელით შეეხო ბურთს. მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. კალოევმა კარგად გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა და ანგარიში გახდა 3:0 დინამოელთა სასარგებლოდ. დარჩენილ დროსი ანგარიში არ შეცვლილა.

“ლელო”, 13 ივნისი, 1961 წ.